პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან

სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N13 დადგენილება (www.matsne.gov.ge 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი:010250050.35.114.016459).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.